საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

აგვისტო, 2023

გერმანიის კონკურენციის უწყება (BUNDESKARTELLAMT)

მაღალი ფასები დიზელსა და E5/10-ზე

დიზელისა და E5/E10-ის საშუალო ფასები ივლისის მეორე ნახევრიდან მუდმივად იზრდება. ივლისის თვიდან დღემდე ფასის ცვლილება:

- E5: 1.85-დან 1.92-მდე
- E10: 1.79-დან 1.86-მდე
- დიზელი: 1.61-დან 1.78-მდე



E5 და E10 ფასების ამჟამინდელი მატება დიდწილად მოჰყვა ნედლი ნავთობის ფასის განვითარებას. ივლისიდან ნედლი ნავთობის ფასი გაიზარდა თითქმის 14%-ით, ნაწილობრივ მიწოდების შემცირების გამო მიმწოდებელ ქვეყნებში.

დიზელზე, ნედლი ნავთობისა და ბენზინგასამართი სადგურის ფასებს შორის განსხვავება ბოლო კვირებში გაიზარდა. საწვავის საშუალო ფასი (გადასახადების გარეშე) ნედლი ნავთობის ფასის გამოკლებით:

- E5: 0.46-დან 0.46-მდე
- E10: 0.42-დან 0.41-მდე
- დიზელი: 0,44-დან 0,52-მდე

დიზელზე ფასის გაძვირების მიზეზები ბენზინგასამართ სადგურებზე არ მოიძებნება. რუსეთის ემბარგოს შემდეგ, გერმანიამ გახსნა დიზელის მიწოდების ახალი გზები, როგორც იმპორტიორი ქვეყანა, მაგრამ გლობალურ კონკურენციაშია სხვა მყიდველებთან. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასების უფრო დიდი რყევები. გარდა ამისა, ამჟამად არის ტექნიკური პრობლემები ადგილობრივ გადამამუშავებელ ქარხნებში. შესაბამისად, ქარხნისა და იმპორტის დონეზე არსებული ფასების ზრდა უკვე მიმდინარეობს.

ფედერალური კარტელების ოფისი მონიტორინგს უწევს გერმანიაში დაახლოებით 14,500 ბენზინგასამართ სადგურს საწვავის ბაზრის გამჭვირვალობის განყოფილების მეშვეობით. მაქსიმალურად გამჭვირვალობის ინტერესებიდან გამომდინარე, ბუნდესკარტელამი მომხმარებლებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საწვავის ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ.

[წყარო:]

1

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ მოკვლევა დაიწყო ტაქსების სექტორში

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო აუდიტი ტაქსის სექტორში რომში, მილანსა და ნეაპოლში არსებული საკითხების გათვალისწინებით, რაც დიდ პრობლემებს უქმნის მომხმარებლებს, მაგალითად, ლოდინის დრო, ტაქსომეტრების გამოყენება, ელექტრონული გადახდების მიღება და ბარათის წამკითხველების გამართული ფუნქციონირება.

ფინანსური პოლიციის სპეციალურმა ანტიმონოპოლიურმა განყოფილებამ (Guardia di Finanza) უწყების სახელით ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა რომის, მილანისა და ნეაპოლის მუნიციპალიტეტებში მოქმედ ტაქსის კომპანიებს.

უწყებამ ასევე, ინფორმაციის პირდაპირი მოთხოვნით მიმართა რომის, მილანისა და ნეაპოლის მუნიციპალიტეტებს და ტაქსის დაჯავშნის მთავარ პლატფორმებს.

მოკვლევის მიზანია ნათელი მოეფინოს „შეზღუდული ჩარიცხვის“ ლიცენზირების სისტემას, რომელიც ამ სექტორში აფერხებს კონკურენტული ბაზრის სათანადო განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, მოითხოვა უწყებამ ინფორმაცია ცვლაში მომუშავე მანქანების რაოდენობის, თითო მანქანაზე განხორციელებული მგზავრობების, არყოფნის, ლოდინის დროის, შეუსრულებელი მოთხოვნების შესახებ, ასევე მუნიციპალიტეტებში გაგზავნილი მონაცემების შესახებ.

შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, უწყება შეაფასებს ბაზრის მდგომარეობას.

წყარო:

1

ნიდერლანდების მომხმარებელთა და ბაზრის უწყება (ACM)

მომხმარებლები შეცდომაში რომ არ შევიდნენ ფასები უნდა იყოს მკაფიოდ წარმოდგენილი

ნიდერლანდების უწყებამ (ACM) მოუწოდა ტურების უმსხვილეს პროვაიდერებს, უფრო მკაფიოდ წარმოადგინონ თავიანთი ფასები. ACM-მა ჩაატარა ადრე გამოცხადებული შემოწმება 12 ტურების პროვაიდერზე და დაასკვნა, რომ 11 ბიზნესმა არ წარმოადგინა სავალდებულო დამატებითი ხარჯები სწორად. გარდა ამისა, მომხმარებლები რეგულარულად ვერ დაჯავშნიდნენ ტურებს იმ ფასად, რაც თავდაპირველად იყო წარმოდგენილი ვებგვერდებზე. უწყება ბიზნესს აძლევს 8 კვირიან ვადას თავიანთი საქმეების მოსაწესრიგებლად. თუ ისინი არ წარმოადგენენ თავიანთ ფასებს უფრო მკაფიოდ, უწყება განიხილავს სანქციების დაწესებას.

საკითხი ეხება მოგზაურობებს, რომლებიც შეიცავს ორ ან მეტ განსხვავებულ ელემენტს, როგორიცაა განთავსება, გადაადგილება და ა.შ. ACM-მა შეამოწმა 12 დიდი ტურისტული პროვაიდერის ვებსაიტები და აღმოაჩინა ხარვეზები 11 პროვაიდერის ვებსაიტებზე, როგორიცაა სავალდებულო დამატებითი ხარჯების მკაფიოდ არ წარმოჩენა. ასევე არიან პროვაიდერები, რომლებიც გვთავაზობენ ფასებს, რომლებიც იცვლება დაჯავშნის პროცესში, რის შედეგადაც შეუძლებელია მოგზაურობის დაჯავშნა ადრე წარმოდგენილი ფასით.

მომხმარებლებისთვის ფასი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია შესყიდვის გადაწყვეტილების მიღებისას. ფასები, რომლებიც მკაფიოა და მოიცავს ყველა სავალდებულო ხარჯს, საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შეადარონ სხვადასხვა სამოგზაურო შეთავაზებებს. უწყების განმარტებით, ბაზრის ყველა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ფასები, ყველა სავალდებულო ხარჯების ჩათვლით.

წყარო:

1

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა

უწყებამ ბრალი წაუყენა UPC Polska-ს, კომპანიას ემუქრება ჯარიმა მისი ბრუნვის 10%-მდე.

საკითხი მდგომარეობს შემდეგში: UPC მომხმარებლებს დაეკისრათ გადასახადი დამატებითი სატელევიზიო არხებისთვის და უფრო მაღალი ინტერნეტის სიჩქარისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ აღნიშნული სერვისები არ შეუკვეთავთ.

სქემის „მეტი სარგებელი შენთვის“ ფარგლებში, კომპანია UPC Polska-მ 2019 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდში გაზარდა მომხმარებლისთვის სააბონენტო გადასახადი განუსაზღვრელი ვადით. მომხმარებლებმა მიიღეს შეტყობინებები კომპანიისგან, საიდანაც აღმოაჩინეს, რომ მათ ექნებათ წვდომა უფრო მეტ არხზე (მათ შორის პრემიუმზე) ან უფრო სწრაფ ინტერნეტზე. ეს გულისხმობდა დამატებით გადასახადს. აბონენტებს შეუძლიათ სრულად შეწყვიტონ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება, ან განაცხადონ უარი აღნიშნულ ცვლილებებზე.

სიტუაცია არ შეცვლილა იმით, რომ UPC Polska-მ თავის მომხმარებლებს საშუალება მისცა უარი ეთქვათ ახალ სერვისებზე ყოველგვარი საფასურის გარეშე 6 თვის განმავლობაში. მეწარმემ ცალმხრივად არ უნდა შეცვალოს გაწეული სერვისები მომხმარებლის თანხმობის გარეშე და შემდეგ მოითხოვოს გადაიხადონ უფრო მაღალი სააბონენტო გადასახადი.

მოკვლევის შედეგად თუ დადასტურდა დარღვევა, კომპანიას ემუქრება ჯარიმა მისი ბრუნვის 10%-მდე.

წყარო:

2

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

ჯარიმა ინსტაგრამზე ფარული რეკლამის გამო

პოლონეთის კონკურერნციისა და მომხმარებელთა უწყებამ სოციალური მედიის სარეკლამო მასალების არასათანადო მონიშვნისთვის ჯარიმის დაკისრების გადაწყვეტილება მიიღო, ჯარიმის ოდენობამ 5 მილიონ პოლონურ ზლოტზე მეტი შეადგინა.

საკითხი ეხება Olimp Laboratories-ს, დიეტური დანამატების ინდუსტრიის ერთ-ერთ ლიდერს და ფიტნეს ინდუსტრიის სამ გავლენიან პირს. დაფინანსებული მასალების გამოქვეყნებისას რეკლამის განმთავსებლის მითითებების შესაბამისად, ავტორებმა საერთოდ არ მონიშნეს ისინი ან გააკეთეს ეს ისე, რომ პირდაპირ არ მიუთითებდა გამოქვეყნებული მასალების კომერციულ ხასიათზე.

„ჩვენ დაჟინებული ვართ სოციალურ მედიაში სარეკლამო კონტენტის არასათანადო მონიშვნის პრაქტიკის აღმოფხვრაში. ინტერვენციის დროს ვიყენებთ სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ჩვენ მოვამზადეთ რეკომენდაციები, რომლებიც ეხება საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონებს“-განაცხადა უწყებამ.

[წყარო:]

1

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია (ACCC)

რეკორდული 57,5 მილიონი დოლარის ჯარიმა კომპანია BLUESCOPE-ს

ფოლადის მწარმოებელ BlueScope Steel-ს დაეკისრა 57,5 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდა, ავსტრალიაში ბრტყელი ფოლადის პროდუქტების ფასების დაფიქსირების მცდელობისთვის.

ფედერალური სასამართლოს მიერ დაწესებული ჯარიმა არის ყველაზე მაღალი, რომელიც ოდესმე დაწესებულია ავსტრალიაში კარტელისთვის. სასამართლომ ასევე დააჯარიმა BlueScope-ის ყოფილი გენერალური მენეჯერი, ჯეისონ ელლისი, ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 575,000 დოლარი.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2022 წლის დეკემბერში BlueScope და ბატონი ელლისი იძულების გზით ცდილობდნენ ავსტრალიაში რვა ფოლადის დისტრიბუტორ კომპანიასთან და საზღვარგარეთის მწარმოებელ, Yieh Phui-თან დაედოთ შეთანხმებები ბრტყელი ფოლადის პროდუქტების ფასის დაფიქსირება/გაზრდაში.

„მნიშვნელოვანია, რომ ჯარიმები იყოს საკმარისად დიდი იმისთვის, რომ მსხვილმა კომპანიებმა და მისმა თანამშრომლებმა შეწყვიტონ ავსტრალიის კონკურენციის კანონების დარღვევა“-განაცხადა უწყებამ.

წყარო:

2

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია (ACCC)

QANTAS და EMIRATES გააგრძელებენ ფრენების კოორდინაციას

ACCC-მ გასცა ნებართვა, რომ Qantas Airways, Emirates და მათთან დაკავშირებულ პირებს (მათ შორის Jetstar) გააგრძელონ მგზავრთა და ტვირთის ტრანსპორტირების ოპერაციების კოორდინაცია თავიანთ ქსელებში 2028 წლამდე.

აღნიშნული ქსელები მოიცავს მარშრუტებს ავსტრალიასა და გაერთიანებულ სამეფოს, ევროპას, ახალ ზელანდიას, აზიას, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას შორის. ეს მუდმივი კოორდინაცია სარგებელს მოუტანს მოგზაურებს, მიზნების ფართო სპექტრს შორის დაკავშირების ხელშეწყობის გზით.

თუმცა, Qantas-სა და Emirates-ს შორის კოორდინაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკურენციაზე სიდნეი-კრისტჩერჩის მარშრუტზე, რადგან Air New Zealand ერთადერთი სხვა ავიაკომპანიაა, რომელიც მუშაობს ამ მარშრუტზე.

„ჩვენ მივეცით ავტორიზაცია იმ პირობით, რომ Qantas-მა და Emirates-მა უნდა უზრუნველყონ რეგულარული განახლებები მგზავრების, შემოსავლებისა და საოპერაციო ხარჯების შესახებ, რაც მოგვცემს საშუალებას ვაკონტროლოთ კონკურენცია ამ მარშრუტზე მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში“, - განაცხადა უწყებამ.

წყარო:

1

უნგრეთის კონკურენციის უწყება

BOOKING.COM

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ დაიწყო დაჩქარებული სექტორული კვლევა უნგრეთში განთავსების და სასტუმროების ონლაინ დაჯავშნისა და სერვისების ბაზარზე, რათა გამოავლინოს და შეაფასოს სექტორში მიმდინარე მოვლენები. საკითხი ეხება ბაზრის მოთამაშეების მიერ გამოყენებულ საკონტრაქტო პირობებსა და პრაქტიკას კერძო პროვაიდერების მიმართ.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, ბევრი უნგრელი განთავსების პროვაიდერის ბიზნესი ბოლო დროს სერიოზულად შეფერხდა იმის გამო, რომ ერთ-ერთმა უმსხვილესმა ონლაინ პლატფორმამ - Booking.com - მა გამოიყენა მათზე საკონტრაქტო პირობები და პრაქტიკა, რომელიც არ ვრცელდება სხვა პარტნიორებზე. ერთ თვეზე ნაკლებ პერიოდში კონკურენციის უწყებამ მიიღო 28 საჩივარი.

სექტორი ასევე განსაკუთრებით დაზარალდა კორონა ვირუსის გამო, შესაბამისად უწყება აკონტროლებს ყველა გარემოებას, რამაც შეიძლება დაბლოკოს სექტორის აღდგენა და სამართლიანი კონკურენციის არსებობა.

GVH შეაჯამებს სექტორის მოკვლევის შედეგებს საჯარო ანგარიშში. ამ ანგარიშის დასრულების ვადაა 30 დღე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს დასაბუთებული გარემოებებით.

[წყარო:]

2

უნგრეთის კონკურენციის უწყება

MICROSOFT

GVH იკვლევს, როგორ აცნობებს Microsoft მომხმარებლებს თავისი ახალი საძიებო სერვისის შესახებ

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა Microsoft წინააღმდეგ. საკითხი ეხება Microsoft-ის ახალ საძიებო სისტემას, და ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მის გარკვეული მახასიათებლებს, რის შესახებაც შეიძლება სათანადოდ არ აცნობოს კომპანიამ მომხმარებლებს. მაგალითად, მომხმარებლებმა შეიძლება არ იცოდნენ სერვისის

სანდოობის შესახებ ან რა ემართებათ მათ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც შეყვანილია საძიებო სისტემის გამოყენების დროს.

GVH ეჭვობს, რომ სერვისების წესები და მომხმარებლის ინფორმაცია ვრცელი, ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივია და ზოგიერთ შემთხვევაში ის მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი. ამან შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლების არასწორი ინფორმირება მომსახურების სისრულის, პასუხების სანდოობის, დროულობისა და სიზუსტის შესახებ და სერვისის გამოყენებასთან დაკავშირებული მონაცემთა მენეჯმენტის შესახებ.

აშშ-ს ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ (FTC) ასევე დაიწყო მოკვლევა ChatGPT, და AI ჩატის სხვა სერვისზე, რომელსაც ოპერირებს OpenAI. საკითხი აქაც ეხება მონაცემთა მართვისა და სერვისის რისკებთან დაკავშირებულ არასამართლიან პრაქტიკას.

უნგრეთის კონკურენციის უწყება დიდ ყურადღებას აქცევს მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიების ბაზრის ქცევის მოკვლევას, რაც გავლენას ახდენს მომხმარებელთა და ბიზნესის ინტერესებსა და პოზიციაზე. ბოლო წლების განმავლობაში, GVH-მ დააწესა კონკურენციის გარკვეული ღონისძიებები Google-სა და PayPal-თან მიმართებით, ასევე Apple-მა და Booking.com-მა გადაიხადეს მნიშვნელოვანი ჯარიმები. უნგრეთის კონკურენციის უწყება ამჟამად იკვლევს Viber-ის, Rakuten ჯგუფის ნაწილის, და TikTok-ის ქცევას ბაზარზე, რომელსაც მართავს ByteDance.

[წყარო:]

1

საბერძნეთის კონკურენციის კომისია

ანტიკონკურენტული პრაქტიკა ოფთალმოლოგიური დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების ბაზრებზე

საბერძნეთის კონკურენციის კომისიამ დაიწყო თვალის დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების ბაზრებზე გარკვეული პრაქტიკის სიღრმისეული მოკვლევა.უწყებამ გამოიყენა ადგილზე შემოწმების პრაქტიკა და ჩაატარა მრავალი საგამოძიებო ღონისძიება ექიმების, კლინიკების, საავადმყოფოების, კერძო და საჯარო დაწესებულებების და სერვისების მიმართ საბერძნეთის ტერიტორიაზე.

საქმისწარმოება მიმდინარე ეტაპზეა და უწყება მოკვლევის დასრულებისთანავე წარადგენს ანგარიშს.

[წყარო:]

1

სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისიამ დაიწყო საწვავის ბაზრის მოკვლევა, ბენზინის ფასის გაძვირების გამო. წინასწარმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფასების ზრდა საერთაშორისო ბაზრებზეც მოხდა. თუ მოკვლევის ფარგლებში გამოვლინდება დარღვევა, დაიწყება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება.

წყარო:

1

GLOBAL COMPETITION REVIEW

თურქეთი აჯარიმებს SAMSUNG და ARCELIK

Samsung-ს, Arçelik-ს და კიდევ ორ თურქულ საყოფაცხოვრებო ტექნიკის კომპანიას ჯარიმა ემუქრებათ, რომელიც ჯამში 21 მილიონ ევროს შეადგენს, იმ შემთხვევაში თუ თურქეთის კონკურენციის უწყების მოკვლევის შედეგად დადგინდა პროდუქტის გასაყიდი ფასის შენარჩუნების წესების დარღვევა.

წყარო:

2

GLOBAL COMPETITION REVIEW

შვეიცარიამ სანქციები დაუწესა ნაგავსაყრელს, აქციონერებისთვის დაბალი ფასების შეთავაზების გამო

შვეიცარიის ნაგავსაყრელს ემუქრება 1 მილიონი ევრო ჯარიმა შვეიცარიის კონკურენციის კომისიისგან, ნარჩენების განთავსების ადგილობრივ ბაზარზე თავისი დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო, აქციონერებისთვის დაბალი ფასების შეთავაზებით და არააქციონერების მომსახურებაზე უარის თქმის გამო.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა გერმანიის, უნგრეთის, საბერძნეთის, ავსტრალიის, იტალიის, პოლონეთის და სომხეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე Global Competition Review ვებგვერდი.

(032) 244 07 70

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი", მე-10 სართული